GOBY

THE LIST

THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY

GOBY THE LIST

THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY

სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება

შემუშავებულია შპს „გობი ჰოსფითალითი“-ს მიერ

თბილისი, 2026

სარჩევი

სარჩევი 1
პრეამბულა 2
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 2
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 3
მუხლი 3. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი 3
მუხლი 4. ნიშნის გამოსახულება 3
მუხლი 5. ნიშნის გამოყენების უფლება 4
მუხლი 6. ორგანიზაციული სტრუქტურა 6
მუხლი 7. შეფასებისა სისტემა და რესტრონების კატეგორიზაციის წესი 6
მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტები 8
მუხლი 9. განაცხადის წარდგენა 8
მუხლი 10. შეფასების პროცედურა 8
მუხლი 11. ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადა 9
მუხლი 12. ხელახალი შეფასება და დონის ამაღლება 9
მუხლი 13. საფასურები 9
მუხლი 14. მონიტორინგი და ზედამხედველობა 10
მუხლი 15. დარღვევები და სანქციები 11
მუხლი 16. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დამუშავება 11
მუხლი 17. პასუხისმგებლობის შეზღუდვა 11
მუხლი 18. ნიშანზე უფლებების დაცვა 12
მუხლი 19. კერძო ხელშეკრულება 12
მუხლი 20. მოქმედი სამართალი 13
მუხლი 21. დასკვნითი დებულებები 13

პრეამბულა

გასტრონომია მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში. გასტრონომიული სექტორი არის არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობა, არამედ კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი, რომელიც გამოხატავს ტრადიციებს, შემეცნებას, გამოცდილებასა და ხარისხის სტანდარტებს.

ქართული კულინარიული ესთეტიკა წარმოადგენს მრავალსაუკუნოვან კულტურულ და სოციალურ ფენომენს, რომელიც გამოირჩევა უნიკალური გემოვნური თვისებებით, მომზადების პროცესებითა და სუფრის კულტურით. აღნიშნული ერთიანობა ქმნის ღირებულ საფუძველს თანამედროვე ქართული გასტრონომიული პრაქტიკების განვითარებისთვის და წარმოადგენს ხარისხისა და ავთენტურობის მაღალი სტანდარტების ფორმირების წყაროს. ქართული გასტრონომიის საერთაშორისო პოპულარიზაციის პარალელურად იზრდება ქართული კულინარიული იდენტობის დამახინჯების, არასწორი ინტერპრეტაციისა და დევალვაციის შემთხვევები.

თანამედროვე გასტრონომიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქტის/მომსახურების ხარისხს, ავთენტურობას, ტექნიკურ შესრულებასა და მომხმარებლის გამოცდილებას. აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს ობიექტის რეალურ დონესა და მის ადგილს ბაზარზე.

სისტემა „GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY“ - ეფუძნება ქართულ კულინარიულ ტრადიციებსა და გასტრონომიულ პრაქტიკებს, როგორც სტანდარტის ჩამოყალიბების საფუძველს და მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის შესრულების შეფასებასა და პოპულარიზაციას.

ამასთან, აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ და ხარისხობრივ სისტემას და არ გულისხმობს საქონლის ან მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის დადასტურებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შემდეგი სასერტიფიკაციო ნიშნის:

- **GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY**
  ქართული ტრანსლიტერაცია „გობი ზე ლისტ ზე გლობალ სტანდარდ ფორ აუთენთიქ ჯორჯიან გასტრონომი“

  ფერი: პლატინისფერი

გამოყენების, მინიჭების, მონიტორინგის, გაუქმებისა და დაცვის წესებს.

1.2. სასერტიფიკაციო ნიშანი წარმოადგენს ხარისხისა და შესაბამისობის მაჩვენებელს, რომელიც გამოიყენება იმ სერტიფიცირებული სუბიექტების მიერ, რომლებმაც გაიარეს დადგენილი შეფასების პროცედურა და დაუდასტურდათ წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

1.3. სასერტიფიკაციო ნიშნის დანიშნულებაა:

ა) გასტრონომიული ხარისხის შეფასების ერთიანი, სანდო და გამჭვირვალე სისტემის შექმნა;
ბ) მომხმარებლისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდება;
გ) ხარისხის გაუმჯობესების წახალისება;
დ) სერტიფიცირებულ ობიექტებს შორის გამჭვირვალე და სამართლიანი დიფერენციაციის უზრუნველყოფა;
ე) ქართულ გასტრონომიულ სივრცეში მაღალი პროფესიული სტანდარტის დამკვიდრება.

1.4. სასერტიფიკაციო ნიშანი არ წარმოადგენს პროდუქტის ან მომსახურების გეოგრაფიული წარმოშობის აღმნიშვნელ ნიშანს და არ ადასტურებს გეოგრაფიულ წარმომავლობას.

1.5. ნიშნის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ დებულებითა და სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ დამტკიცებული ოფიციალური ვიზუალური სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულების მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს დანართი N1-ით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი

3.1. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელია:

- **სრული სახელწოდება:** შპს გობი ჰოსფითალითი
- **სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405866228
- **იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქ. N 20/31
- **ელ-ფოსტა**: info.gobyhospitality@gmail.com

3.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

ა) არ აწარმოებს და არ აწვდის იმავე კატეგორიის საქონელს ან/და მომსახურებას, რომლისთვისაც სასერტიფიკაციო ნიშნის დაცვას ითხოვს;
ბ) მოქმედებს მიუკერძოებლად, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით;

მუხლი 4. ნიშნის გამოსახულება

4.1. სასერტიფიკაციო ნიშანი, რომელსაც ეს დებულება ეხება, წარმოადგენს ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვიერ-გრაფიკულ ნიშანს.

GOBY
THE LIST
THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY

4.2. ნიშნის გამოყენებისას დაუშვებელია მისი რაიმე ფორმით ცვლილება. ნიშანი ადასტურებს მხოლოდ იმას რომ შესაბამისმა სერტიფიცირებულმა სუბიექტმა შეფასების მომენტისთვის და ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადაში დააკმაყოფილეს დადგენილი კრიტერიუმები.

4.3. სასერტიფიკაციო ნიშნის დაცვის გარანტია ვრცელდება მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი იმ მომსახურებაზე, რომლებიც წარმოადგენს აღნიშნული სასერტიფიკაციო ნიშნის საგანს:

- ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მომსახურების ჩამონათვალი

ჩამონათვალი	კლასი
კაფეებით მომსახურება	43
კაფეტერიებით მომსახურება	43
სასადილოებით მომსახურება	43
რესტორნებით მომსახურება	43

მუხლი 5. ნიშნის გამოყენების უფლება

5.1. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება შეიძლება მიენიჭოს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომლებიც ოპერირებას უწევენ საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და გასტრონომიულ დაწესებულებებს, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებს.

5.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭების პროცედურა ფასიანია. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ამტკიცებს საფასურის ოდენობებსა და გადახდის წესებს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭებისა და მისი გამოყენების მონიტორინგთან დაკავშირებულ ხარჯებს. დაინტერესებული ან უკვე სერტიფიცირებული სუბიექტი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელთან გააფორმოს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების ხელშეკრულება და გადაიხადოს შესაბამისი საფასური.

5.3. შესაბამისი სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელიც კუმულატიურად დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) წარადგენს სრულყოფილ განაცხადს;
ბ) გაივლის სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ განსაზღვრულ შეფასების პროცედურას;
გ) სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ დადასტურდება დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა;
დ) დაეთანხმება წინამდებარე დებულებასა და სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების ხელშეკრულებას;
ე) გააფორმებს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელთან სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების ხელშეკრულებას;
ვ) გადაიხდის შესაბამის საფასურს.

5.4. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება წარმოიშობა მხოლოდ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირებს არ აქვთ უფლება, გადასცენ ნიშნის გამოყენების უფლება მესამე პირებს ან გასცენ რაიმე სახის ლიცენზიები ან ნებართვები.

5.5. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება შეზღუდულია იმ კონკრეტული გასტრონომიული/კვების ობიექტით, რომლისთვისაც სასერტიფიკაციო ნიშანი გაიცა. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება ასევე შეზღუდულია მინიჭებისას განსაზღვრული ნიშნის მოქმედების ვადით და დამოკიდებულია ნიშნის გამოყენების პირობების მუდმივ დაცვაზე.

5.6. სერტიფიცირებულ სუბიექტს უფლება აქვს სასერტიფიკაციო ნიშანი გამოიყენოს:
ა) ობიექტის ფასადზე;
ბ) შიდა სივრცეში;
გ) მენიუში;
დ) ვებგვერდზე;
ე) სოციალური მედიის გვერდებზე;
ვ) სარეკლამო და პრომო მასალებში.

5.7. ნიშნის გამოყენება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მინიჭებულ დონეს, ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადას, სასერტიფიკაციო ნიშნის ვიზუალურ სტანდარტს.

5.8. აკრძალულია სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება ისეთ კონტექსტში, რომელიც გულისხმობს, რომ სერტიფიკაცია ვრცელდება სხვა კატეგორიაზეც, რომელზეც იგი რეალურად არ ვრცელდება.

მუხლი 6. ორგანიზაციული სტრუქტურა

6.1. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს გააჩნია საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია: GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY-ის სასერტიფიკაციო ნიშანთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. იგი წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო პირს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, განსაკუთრებით დაინტერესებული ან უკვე სერტიფიცირებული სუბიექტებისთვის. იგი კოორდინაციას უწევს სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭების პროცესს და ახორციელებს მას.

6.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი საკუთარ ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში) აქვეყნებს სერტიფიცირებული სუბიექტების (მათი ობიექტების) სიას და ადგენს რეესტრს.

6.3. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი კოორდინაციას უწევს შემოწმებისა და სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭების პროცესებს, უფლებამოსილია სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების მონიტორინგზე და ახორციელებს სანქციების დაკისრებას სასერტიფიკაციო ნიშნის ან/და ამ დებულების დარღვევის შემთხვევებში.

მუხლი 7. შეფასებისა სისტემა და რესტრონების კატეგორიზაციის წესი

7.1. სერტიფიცირების პროცესი ეფუძნება დამოუკიდებელ, ობიექტურ და შეფასების მრავალდონიან მოდელს. შეფასება ხორციელდება სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ ჩამოყალიბებული სპეციალური ორგანოს - აუდიტორთა აკადემიის მეშვეობით. აუდიტორთა აკადემია წარმოადგენს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფს, რომლის შემადგენლობა ფორმირდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროფესიული ექსპერტები

- შეფ-მზარეულები
- სომელიეები
- გასტრონომიის მკვლევრები და ისტორიკოსები
- სხვა დარგის პროფესიონალები

ბ) ინდუსტრიის ანალიტიკოსები

- კვების ინდუსტრიის ჟურნალისტები
- კრიტიკოსები
- მედიის წარმომადგენლები

გ) ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები

- გასტრო-ბლოგერები
- ციფრული კონტენტის შემქმნელები
- თანამედროვე ურბანული კულტურის ანალიტიკოსები

7.2. აუდიტორთა აკადემიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან აუდიტორთა აკადემიის მიუკერძოებლობისა და ეთიკის წესები, რომელიც ერთვის წინამდებარე დებულებას დანართი N3-ის სახით.

7.3. შეფასება ხორციელდება ანონიმური ვიზიტის საფუძველზე, რაც გულისხმობს აუდიტორის იდენტობის არგამჟღავნებას, მომსახურების რეალურ პირობებში შეფასებასა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე ვიზიტს. აღნიშნული უზრუნველყოფს ობიექტურობას და რეალურ მომხმარებლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებას.

7.4. აუდიტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ანონიმური ვიზიტი;
ბ) დეგუსტაცია და სერვისის შეფასება;
გ) ქულათა მინიჭება დადგენილი 100-ქულიანი სისტემის მიხედვით;
დ) შეფასების დასკვნის მომზადება;

აუცილებელია, რომ თითოეული ეტაპი იყოს წერილობით დაფიქსირებული. ერთზე მეტი აუდიტორის არსებობის შემთხვევაში, საბოლოო ქულა განისაზღვრება მათი შეფასებების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობით. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გადაამოწმოს შეფასებები და საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს დამატებითი აუდიტი. საბოლოო ქულა წარმოადგენს სერტიფიკაციის საფუძველს.

7.5. შეფასების სამართლიანობისა და სხვადასხვა გასტრონომიული კონცეფციების თავისუფლების დაცვის მიზნით, რესტორნები ფასდებიან სამ განსხვავებულ კატეგორიაში. კატეგორიზაცია არ ცვლის შეფასების შინაარსობრივ საფუძველს.

ა) ტრადიციული რესტორანი

აქცენტი კეთდება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაზე. მოიცავს:

- ტრადიციული რეცეპტურის დაცვას
- აკადემიურ და კლასიკურ გარემოს
- ქართული პოლიფონიის გამოყენებას
- ტრადიციული სერვირების ფორმებს („ლურჯი სუფრა“)

ბ) თანამედროვე/საავტორო რესტორანი

აქცენტი კეთდება ინოვაციაზე, ტრადიციის ფარგლებში. მოიცავს:

- კერძების თანამედროვე ტექნიკით შესრულებას
- ვიზუალურ და ტექსტურულ ინოვაციას
- თანამედროვე მუსიკალურ და მინიმალისტურ გარემოს

გ) ურბანული დუქანი

აქცენტი კეთდება ყოველდღიურობასა და ურბანულ ენერგიაზე. მოიცავს:

- შეზღუდულ, მაგრამ მაღალი ხარისხის მენიუს
- ალტერნატიულ მუსიკას
- არაფორმალურ და ენერგიულ ატმოსფეროს

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტები

8.1. კონკრეტული ქულათა განაწილება და შეფასება განისაზღვრება დანართი N2 - შეფასების მეთოდოლოგიით.

მუხლი 9. განაცხადის წარდგენა

9.1. დაინტერესებული პირი სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს წარუდგენს წერილობით განაცხადს.

9.2. განაცხადი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე:

ა) განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებსა და სახელწოდებას;
ბ) ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
გ) ვებ-გვერდსა და ელ-ფოსტას;
დ) საქმიანობის აღწერას;
ე) მენიუს/პროდუქციის/კონცეფციის მოკლე აღწერას;
ვ) ამ დებულების მიღებაზე თანხმობას;
ზ) საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
თ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერას;

9.3. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია.

9.4. არასრული განაცხადის შემთხვევაში, განმცხადებელს მიეცემა ხარვეზის გამოსწორების ვადა არაუმეტეს 5 კალენდარული დღისა. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება შეიძლება დარჩეს განუხილველი, ხოლო გადახდილი საფასური (არსებობის შემთხვევაში) განმაცხადებელს არ უბრუნდება.

მუხლი 10. შეფასების პროცედურა

10.1. შეფასებას ახორციელებს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი მის მიერ შექმნილი აუდიტორთა აკადემიის მეშვეობით ამ დებულებით განსაზღვრული წესების მიხედვით. კონკრეტული განმცხადებლის შეფასებებისას აუდიტორთა აკადემია შეიძლება დაკომპლექტდეს სულ მცირე სამი პირისგან, რომელთა შემადგენლობასაც ადგენს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი.

10.2. შეფასების დასრულების შემდეგ მზადდება შეფასების დასკვნა, სადაც აისახება:

ა) მინიჭებული ქულები და აუდიტორთა აკადემიის წევრის/წევრთა დასაბუთება კონკრეტული ქულის მინიჭების შესახებ;
ბ) ვიზიტის განხორციელების თარიღი.

10.3. საბოლოო გადაწყვეტილებას მინიჭებული ქულების რაოდენობიდან გამომდინარე იღებს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი და ანიჭებს შესაბამის სასერტიფიკაციო ნიშანს, ხოლო არასაკმარისი ქულების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას არ მინიჭების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას განცხადების რეგისტრაციიდან 9 (ცხრა) თვის ვადაში. განმცხადებელს უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს ქულების დათვლის პროცესში შეუძლია მოიწვიოს დამოუკიდებელი მესამე პირი.

მუხლი 11. ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადა

11.1. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება გაიცემა განსაზღვრული ვადით, ჩვეულებრივ 12 თვის ვადით, თუ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში სხვა რამ არ არის მითითებული.

11.2. ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სერტიფიცირებული სუბიექტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნიშნის გამოყენება.

მუხლი 12. ხელახალი შეფასება და დონის ამაღლება

12.1. სისტემა „გობი ზე ლისტ ზე გლობალ სტანდარდ ფორ აუთენთიქ ჯორჯიან გასტრონომი“-ს ერთ-ერთი ძირითადი მიზანია პროგრესის წახალისება.

12.2. სერტიფიცირებულ სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდგომ, მოითხოვოს:

ა) ხელახალი შეფასება;
ბ) ვადის განახლება.

12.3. ხელახალი შეფასება ტარდება ამ დებულებით დადგენილი წესებით. ხელახალი შეფასების მოთხოვნა არ ნიშნავს დონის ავტომატურ ამაღლებას.

მუხლი 13. საფასურები

13.1. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს დააწესოს:

ა) განაცხადის საფასური;
ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის მომსახურების თვიური საფასური;
გ) ხელახალი შეფასების საფასური;
დ) დაჩქარებული პროცედურის საფასური;
ე) მონიტორინგთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

13.2. საფასურის გადახდა არ იძლევა სასერტიფიკატო ნიშნის ავტომატურ მიღებას; იგი მხოლოდ აძლევს უფლებას განმცხადებელს გაიაროს შეფასება.

მუხლი 14. მონიტორინგი და ზედამხედველობა

14.1. ნიშნის გამოყენება ხორციელდება სერტიფიცირებული პირის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი ახორციელებს ბაზრის ზოგად მონიტორინგს და აკონტროლებს სასერტიფიკაციო ნიშნების გამოყენების პირობების დაცვას.

14.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, გადაამოწმოს სასერტიფიკაციო ნიშნის კრიტერიუმების დაცვა (საკონტროლო შემოწმება) და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის სანქციები, გამოყენების პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.3. სერტიფიცირებული პირები ვალდებულნი არიან, მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინონ ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კრიტერიუმების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით. სერტიფიცირებული პირები ასევე ვალდებულნი არიან, დროულად აცნობონ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს მათ საქმიანობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.

14.4. მონიტორინგის შედეგის საფუძველზე სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს შეუძლია:

ა) დადასტუროს შესაბამისობა;
ბ) გასცეს გაფრთხილება;
გ) მოითხოვოს ხარვეზის გამოსწორება;
დ) შეაჩეროს ნიშნის გამოყენება;
ე) აუკრძალოს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება.

14.5. სერტიფიცირებული სუბიექტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნიშნის გამოყენება, თუ:

ა) ნიშნის მოქმედების ვადა ამოიწურა;
ბ) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების მოქმედება შეაჩერა სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა;
გ) სასერტიფიკაციო ნიშანი გაუქმდა;
დ) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება გაუუქმდა/აეკრძალა სერტიფიცირებულ სუბიექტს;

მუხლი 15. დარღვევები და სანქციები

15.1. წინამდებარე დებულების დარღვევის შემთხვევაში სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს შეუძლია გამოიყენოს სანქციები სერტიფიცირებული პირების მიმართ. სანქციები შეიძლება მოიცავდეს:

ა) წერილობით გაფრთხილებას;
ბ) ხარვეზის გამოსწორების ვადის მიცემას;
გ) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების დროებით შეჩერებას;
ე) სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების გაუქმებას/აკრძალვას;
ვ) ფულად ჯარიმას;
ზ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

15.2. სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების გაუქმების/აკრძალვის, ასევე ზოგადად სასერტიფიკაციო ნიშნის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმების შემდეგ, სუბიექტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოხსნას ნიშანი ყველა მატერიალური და ციფრული მატარებლიდან; შეწყვიტოს ნებისმიერი მითითება სასერტიფიკაციო ნიშანზე.

მუხლი 16. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დამუშავება

16.1. შეფასების პროცესში მიღებული კომერციული და ოპერაციული ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გამოქვეყნება აუცილებელია გამჭვირვალობისთვის.

16.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი უფლებამოსილია დაამუშაოს განაცხადთან, შეფასებასთან, მონიტორინგთან და რეესტრთან დაკავშირებული მონაცემები სერტიფიცირების მიზნებისთვის.

16.3. სერტიფიცირებული სუბიექტი თანხმდება, რომ მისი მონაცემები, მინიჭებული ნიშანი და მოქმედების სტატუსი შეიძლება გამოქვეყნდეს საჯაროდ.

მუხლი 17. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

17.1. ნიშნის მინიჭება არ ნიშნავს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის მიერ სერტიფიცირებული სუბიექტის საქმიანობის რაიმე გარანტირებას. სასერტიფიკაციო ნიშანი ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ სუბიექტი შეფასების მომენტში და ნიშნის მოქმედების ვადაში აკმაყოფილებდა წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

17.2. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ აგებს არანაირ პასუხს, მათ შორის სახელშეკრულებო, დელიქტურ ან სხვა სახის ზიანის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სერტიფიცირებული სუბიექტის საქმიანობასთან, მათ მიერ გაწეულ მომსახურებასთან ან წარმოებულ პროდუქციასთან. სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭება არ წარმოადგენს რაიმე სახის გარანტიას, რეკომენდაციას ან პასუხისმგებლობის აღებას

მესამე პირების მიმართ და არ შეიძლება გახდეს საფუძველი სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის რაიმე ფორმით.

მუხლი 18. ნიშანზე უფლებების დაცვა

18.1. სასერტიფიკაციო ნიშნის დარღვევასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოქმედების განხორციელების უფლება ეკუთვნის მხოლოდ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს.

18.2. იმ შემთხვევაში, თუ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი არ იღებს შესაბამის ზომებს სასერტიფიკაციო ნიშნის დარღვევის წინააღმდეგ, ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირს უფლება აქვს, სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის წინასწარი წერილობით თანხმობის საფუძველზე, საკუთარი ხარჯით დაიწყოს დარღვევის წინააღმდეგ სამართლებრივი მოქმედებები. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა შეიძლება უარი თქვას აღნიშნულ თანხმობაზე მხოლოდ დასაბუთებული და არსებითი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

18.3. იმ შემთხვევაში, თუ ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირი ახორციელებს სამართლებრივ მოქმედებებს წინამდებარე მუხლის 18.2 პუნქტის შესაბამისად, იგი ვალდებულია ნებისმიერი შეთანხმების (მორიგების) დადებამდე მიიღოს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

18.4. ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირები ვალდებულნი არიან სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობონ სასერტიფიკაციო ნიშნის ყველა შესაძლო ან დადგენილი დარღვევის შესახებ.

18.5. სასერტიფიკაციო ნიშნის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მხოლოდ სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირი სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის თანხმობით ახორციელებს სამართლებრივ მოქმედებებს დარღვევის წინააღმდეგ. ამასთან, არ იზღუდება სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელის უფლება, დათმოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ან მათგან გამომდინარე სხვა მოთხოვნები მესამე პირებზე.

მუხლი 19. კერძო ხელშეკრულება

ამ დებულებასთან ერთად სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სერტიფიცირებულ სუბიექტთან გააფორმოს ცალკე ნიშნის გამოყენების ხელშეკრულება და განსაზღვროს მისი შინაარსი, და დაადგინოს დამატებითი წესები.

მუხლი 20. მოქმედი სამართალი

დებულება შედგენილია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ნებისმიერი დავის შემთხვევაში, დავა უნდა განიხილოს საქართველოს სასამართლომ.

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დებულება ძალაში შედის საქპატენტის მიერ მისი დამტკიცების დღიდან. დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დებულების განუყოფელი ნაწილია:

დანართი N1 - ტერმინთა განმარტება
დანართი N2 - შეფასების მეთოდოლოგია;
დანართი N3 - აუდიტორთა აკადემიის მიუკერძოებლობისა და ეთიკის წესები;

დანართი N1 - ტერმინთა განმარტება

ახლო ნათესავი	მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, დის/ძმის შვილი, ბიძა/მამიდა/დეიდა, მეუღლე.
დაინტერესებული პირი ან განმცხადებელი	ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დებულებით დადგენილი წესით მიმართავს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს სასერტიფიკაციო ნიშნის მინიჭების განცხადებით.
დებულება	სასერტიფიკაციო ნიშნის დებულება, რომელიც შემუშავებულია შპს „გობი ჰოსფითალითი“-ს (ს.ნ 405866228) მიერ
ნიშნის გამოყენების მოქმედების ვადა	მფლობელის მიერ სერტიფიცირებული სუბიექტისთვის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სუბიექტს აქვს სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლება.
სასერტიფიკაციო ნიშანი ან ნიშანი	„GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY“, რომელიც ადასტურებს შესაბამისობას ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
სისტემა “GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY”	შეფასების მრავალდონიანი მოდელი, რომლის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლოა მიენიჭოთ დებულებით განსაზღვრული სასერტიფიკაციო ნიშანი.
სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი	დებულების 3.1. მუხლით განსაზღვრული პირი.
სერტიფიცირებული სუბიექტი ან სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენების უფლების მქონე პირი	პირი ან ობიექტი, რომელმაც წარმატებით გაიარა შეფასების მრავალდონიანი მოდელი და რომელსაც სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელმა მიანიჭა ნიშნის გამოყენების უფლება.

შეფასების მრავალდონიანი მოდელი	ქულებისა და შეფასების შედეგად განსაზღვრული მოდელი.
მონიტორინგი	დებულებით გათვალისწინებული სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი.
ხელახალი შეფასება	იმავე ან უფრო მაღალი დონის მისაღებად განმეორებითი შეფასების პროცედურა.

დანართი N2 — შეფასების მეთოდოლოგია და სტანდარტები

I. კულინარიული ავთენტურობა, გემო და არომატი (მაქს. 40 ქულა)

ქვეკატეგორია	კრიტერიუმი (ქულა)	აღწერა
რეცეპტურა და ისტორია	ტრადიციული სიზუსტე (0–15)	ქართული რეცეპტურის დაცვა, ტექნიკის სიზუსტე, ინგრედიენტების ავთენტურობა
გემო და არომატი	სენსორული ხარისხი (0–15)	გემოს ბალანსი, არომატის სიღრმე, ტექსტურის შესაბამისობა
ინოვაცია	ინოვაცია ტრადიციის ფარგლებში (0–10)	თანამედროვე ინტერპრეტაცია ქართული იდენტობის შენარჩუნებით

II. ატმოსფერო, კონცეფცია და ესთეტიკა (მაქს. 20 ქულა)

ქვეკატეგორია	კრიტერიუმი (ქულა)	აღწერა
სივრცე და დიზაინი	ინტერიერის იდენტობა (0–10)	კონცეფციის შესაბამისი დიზაინი, ეროვნული ელემენტების სწორი გამოყენება
ვიზუალური წარმოდგენა	სერვირების კულტურა (0–10)	კერძის პრეზენტაცია, ჭურჭლის ესთეტიკა და დეტალები

III. პროდუქტის ხარისხი და მენიუს ფილოსოფია (მაქს. 20 ქულა)

ქვეკატეგორია	კრიტერიუმი (ქულა)	აღწერა
პროდუქტი	ინგრედიენტების ხარისხი (0–10)	პროდუქტების შემადგენლობა, სისუფთავე და ხარისხი
მენიუს ლოგიკა	კონცეფცია და სინერგია (0–10)	მენიუს სტრუქტურა, ღვინოსთან შესაბამისობა, კონცეპტუალური ერთიანობა

IV. სტუმართმოყვარეობა, ცოდნა და კომუნიკაცია (მაქს. 20 ქულა)

ქვეკატეგორია	კრიტერიუმი (ქულა)	აღწერა
სერვისი	პროფესიონალიზმი (0–10)	მომსახურების სისწრაფე, ეთიკა, სტუმართმოყვარეობა
კულტურული კომუნიკაცია	ამბის გადმოცემა (0–10)	კერძის, კულტურის და ისტორიის გადმოცემის უნარი

V. ჯამური შეფასება

მიმართულება	მაქს. ქულა
კულინარიული ავთენტურობა, გემო და არომატი	40
ატმოსფერო, კონცეფცია და ესთეტიკა	20
პროდუქტის ხარისხი და მენიუს ფილოსოფია	20
სტუმართმოყვარეობა, ცოდნა და კომუნიკაცია	20
ჯამი	**100**

VI. ქულების კონვერტაცია – სისტემა GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY

ქულა (%)	შეფასება	სასერტიფიკაციო ნიშანი	სასერტიფიკაციო ნიშანი ვიზუალურად
90 – 100	უმაღლესი	**GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY** ქართული ტრანსლიტერაცია „გობი ზე ლისტ ზე გლობალ სტანდარდ ფორ აუთენთიქ ჯორჯიან გასტრონომი“ ფერი: პლატინისფერი	GOBY THE LIST THE GLOBAL STANDARD FOR AUTHENTIC GEORGIAN GASTRONOMY
70 – 89	მოთხოვნები ვერ სრულდება	სასერტიფიკაციო ნიშანი არ ენიჭება	-
50-69	მოთხოვნები ვერ სრულდება	სასერტიფიკაციო ნიშანი არ ენიჭება	-
0 – 49	მოთხოვნები ვერ სრულდება	სასერტიფიკაციო ნიშანი არ ენიჭება	-

დანართი N3 - აუდიტორთა აკადემიის მიუკერძოებლობისა და ეთიკის წესები;

აუდიტორთა აკადემიის მიუკერძოებლობისა და ეთიკის წესები

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს აუდიტორთა აკადემიის წევრთა ეთიკურ სტანდარტებს, მიუკერძოებლობის პრინციპებს, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და კონფიდენციალურობის დაცვის წესებს.

1.2. დოკუმენტის მიზანია სერტიფიცირების პროცესის დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და სანდოობის უზრუნველყოფა.

1.3. წინამდებარე წესები სავალდებულოა აუდიტორთა აკადემიის ყველა წევრისთვის.

1.4. აუდიტორთა აკადემიის თითოეული წევრი ვალდებულია შეფასების განხორციელებამდე წერილობით დაადასტუროს, რომ გაეცნო წინამდებარე წესებს და იღებს მათი დაცვის ვალდებულებას.

1.5. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს შეუძლია დამატებით ჩამოაყალიბოს წერილობითი დასტურის ფორმა.

1.6. აუდიტორთა აკადემიის წევრებს განსაზღვრავს და აკადემიაში შეჰყავს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს შესაბამისი პირის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

2. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები

2.1. აუდიტორთა აკადემიის წევრი ვალდებულია შეფასება განახორციელოს ობიექტურად, კეთილსინდისიერად და პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

2.2. აუდიტორთა აკადემიის წევრს ეკრძალება შეფასების პროცესში პირადი ინტერესით, კომერციული გავლენით, მეგობრული, ოჯახური, ან სხვა არასათანადო მოტივით მოქმედება.

2.3. აუდიტორთა აკადემიის წევრი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შეფასების შედეგზე, ეჭვქვეშ დააყენოს შეფასების სანდოობა, დააზიანოს სასერტიფიკაციო ნიშნის რეპუტაცია, შექმნას მიკერძოების აღქმა მესამე პირებში.

2.4. შეფასების პროცესში დაუშვებელია საჩუქრის, სარგებლის, ფასდაკლების ან სხვა უპირატესობის მიღება, შეფასების შედეგის წინასწარი დაპირება, შეფასების შედეგზე გავლენის მოხდენის მცდელობა, სასერტიფიკაციო ნიშნის გამოყენება პირადი კომერციული მიზნებისთვის.

2.5. აუდიტორთა აკადემიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ მაღალი პროფესიული რეპუტაციის, ეთიკური სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების მქონე სრულწლოვანი პირი, რომელსაც თავისი საქმიანობითა და გამოცდილებით შეუძლია უზრუნველყოს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და სანდოობა.

2.6. აუდიტორთა აკადემიის წევრის საქმიანობა შეიძლება იყოს ანაზღაურებადი ან არანაზღაურებადი. ანაზღაურების ფორმასა და პირობებს განსაზღვრავს

სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი, იმგვარად, რომ არ შეილახოს შეფასების პროცესის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.

2.7. აუდიტორთა აკადემიის წევრის სტატუსი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნებაყოფლობით პროფესიულ მონაწილეობას აუდიტორთა აკადემიაში და არ წარმოშობს შრომით, წარმომადგენლობით ან პარტნიორულ ურთიერთობას სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელთან, თუ მხარეთა შორის წერილობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. ინტერესთა კონფლიქტი

3.1. აუდიტორთა აკადემიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან მისი წარმოშობის რისკის შესახებ.

3.2. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც აუდიტორს დაინტერესებულ პირთან ან მის რეგისტრირებულ დირექტორთან ან/და პარტნიორთან მიმართებით აქვს:

ა) ფინანსური ინტერესი;
ბ) პირდაპირი ან ირიბი კომერციული კავშირი;
გ) შრომითი, საკონსულტაციო ან წარმომადგენლობითი ურთიერთობა;
დ) პარტნიორული ან თანამესაკუთრეობითი ინტერესი;
ე) ახლო ნათესაური კავშირი;
ვ) სხვა გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე.

3.3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში აუდიტორი არ მონაწილეობს შესაბამისი ობიექტის შეფასებაში. იგი ვალდებულია სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს გაუმჟღავნოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

3.4. სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს, ინტერესთა კონფლიქტის ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეცვალოს აუდიტორთა აკადემიის წევრი.

4. კონფიდენციალურობა

4.1. აუდიტორთა აკადემიის წევრი ვალდებულია დაიცვას შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4.2. აკრძალულია შეფასების შედეგების წინასწარი გამჟღავნება, შიდა დოკუმენტაციის მესამე პირებისთვის გადაცემა, ობიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის პირადი ან კომერციული მიზნებისთვის გამოყენება.

4.3. კონფიდენციალურობის ვალდებულება ძალაში რჩება აკადემიის წევრობის ან კონკრეტულ შეფასებაში მონაწილეობის დასრულების შემდეგაც.

5. პროფესიული ეთიკა

5.1. აუდიტორთა აკადემიის წევრი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად; დაიცვას პროფესიული სტანდარტები; პატივი სცეს კულტურულ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა გასტრონომიულ კონცეფციას; თავი შეიკავოს დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ან არაეთიკური ქმედებებისგან.

5.2. აუდიტორთა აკადემიის წევრს ეკრძალება საჯაროდ ისეთი განცხადებების გაკეთება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიმდინარე შეფასებაზე, ზიანი მიაყენოს სასერტიფიკაციო ნიშნის ავტორიტეტს, შექმნას ინტერესთა კონფლიქტის ან მიკერძოების აღქმა.

6. ანონიმურობის დაცვა

6.1. აუდიტორი ვალდებულია დაიცვას ანონიმური შეფასების პრინციპი და არ გაამჟღავნოს საკუთარი იდენტობა შეფასების პროცესში.

6.2. აუდიტორს ეკრძალება წინასწარი ინფორმაციის მიწოდება ვიზიტის შესახებ, საკუთარი სტატუსის გამოყენება მომსახურების განსაკუთრებული პირობების მისაღებად, შეფასების პროცესის ხელოვნურად შეცვლა.

7. წესების დარღვევა და სანქციები

7.1. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი ზომები:

- გაფრთხილება;
- კონკრეტული შეფასებიდან ჩამოშორება;
- აუდიტორთა აკადემიის წევრობის დროებითი შეჩერება;
- აუდიტორთა აკადემიის წევრობიდან გარიცხვა;
- სხვა შესაბამისი ღონისძიება.

7.2. მძიმე ან განმეორებითი დარღვევა შეიძლება გახდეს აკადემიის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე წესებს ამტკიცებს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელი.

8.2. აუდიტორთა აკადემიის წევრობა ნებაყოფლობითია. წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დატოვოს აუდიტორთა აკადემია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ხოლო სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს პირის წევრობა აუდიტორთა აკადემიაში.

8.3. წესებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს სასერტიფიკაციო ნიშნის მფლობელს.

8.4. წინამდებარე წესები წარმოადგენს სერტიფიცირების სისტემის განუყოფელ ნაწილს და ვრცელდება აუდიტორთა აკადემიის ყველა წევრზე.